

მეექვსე კლასი სწორი პასუხები

N1 – 3 ქულა: B. 56 მატჩი

N2 – 3 ქულა: C. 30 ჯერი.

N3 – 4 ქულა: ათიათასეულების პოზიციაზე შეიძლება ამ ხუთი კენტი ციფრიდან ნებისმიერი ეწეროს, თან თანაბარი შესაძლებლობით, ამიტომ პირობითად ავიღოთ ერთ-ერთი, მაგრამ საძიებელი რიცხვი გავამხილოთ 5 - ზე, ანალოგიურად ათასეულების შერჩევას ამორჩევა მოხდება დარჩენილი 4 ციფრიდან და ა.შ. მივიღებთ პასუხს $5*4*3*2*1=120$

პასუხი: 120 რიცხვი

N4 - ქულა: რადგან $2*3=6$ ყოველი 6 დღის შემდეგ მდგომარეობა გამეორდება. ხოლო ნებისმიერ 6 მომდევნო დღის განმავლობაში გიგა და ლია მხოლოდ ერთხელ შეხვდებიან (თუ დღეების გადათვლას დავიწყებთ ლიას დღეების რიცხვი 3-ზე გაყოფისას გვადლევენ ერთნაირ ნაშთებს, ხოლო რადგან 2 და 3 ურთიერმარტივი რიცხვებია, გიგას დღეების რიცხვში 3-ზე გაყოფისას მოგვცემენ სხვადასხვა ნაშთებს ე.ი. მხოლოდ ერთხელ დაემთხვევა ლიას დღეებს მომდევნო 6 დღის განმავლობაში) ცხადია უდიდესი მისალმების რიცხვისთვის უმჯობესია 1-31 დღეს მიესალმონ ერთმანეთს, მაშინ მისალმებები გამეორდება მე-7 და მე-13 დღეებშიც

პასუხი: 3


N5 – 5 ქულა: ვთქვათ სოფოს x თანაკლასელი ვაჟი ჰყავს, მაშინ ამოცანის პირობის თანახმად $(x-3)*2=x+4 \Rightarrow x=10$. ამიტომ სოფოსთან ერთად მოსწავლეთა რაოდენობა იქნება $10+10+1=21$

პასუხი 21 მოსწავლე

N6 – 5 ქულა: თუ ცურვა არ იცის კლასის $\frac{1}{3}$ ნაწილმა ე.ი. სცოდნია $\frac{2}{3}$ ნაწილს, თუ ცურვის მცოდნეთა $\frac{1}{4}$ გოგონაა მაშინ $\frac{3}{4}$ ვაჟი ყოფილა ანუ მთელი კლასისთვის ცურვის მცოდნე ვაჟები $\frac{2}{3} * \frac{3}{4} = \frac{1}{2}$ ნაწილი ყოფილა

პასუხი: $\frac{1}{2}$ ნაწილი

N7 – 6 ქულა.



მოცემული 6×6 ფიგურა დავშტრიხოთ ჭადრაკულად, ცხადია 36 უჯრიდან ნახევარი ანუ 18 შავი და ნახევარი თეთრი უჯრა გვექნება. რადგან „თეთრისის“ ფიგურას ფართობი 4 უჯრის ტოლი აქვს, თუ ჩვენ გვინდა 6×6 -ზე დაფის ამოვსება დაგვჭირდება $36:4=9$ ასეთი ფიგურა, (ცხადია ფიგურები ერთმანეთს არ ფარავენ). მაგრამ თითოეული ფიგურა როგორც არ უნდა მივაბრუნოთ, აუცილებლად დაფარავს შავი უჯრების კენტი რაოდენობას (1 ან 3-ს) ხოლო 9 კენტი რიცხვის ჯამი უეჭველად კენტია და 18 ვერ გაუტოლდება.

პასუხი: დათო ვერ შეძლებს დაფის ამოვსებას.